პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი № 11 (11317) | სამშაბათი, 13 იანვარი, 1959 წ. | ფასი 20 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ თბილისში გაიხსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა.

ყრილობამ მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება „თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

მოხსენების შემდეგ დაიწყო კამათი.

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

სურათზე: საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის პრეზიდიუმი. ტრიბუნაზეა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ვ. პ. მჟავანაძე.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და მ. კვირიკაშვილისა.

გუშინ ყრილობაზე

12 იანვარს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობამ.

დღის 12 საათისათვის დელეგატები და სტუმრები შეიკრიბნენ დიდ დარბაზში. მათ შორის არიან მრეწველობის საწარმოთა, ტრანსპორტის, მშენებლობათა, სოფლის მეურნეობის მოწინავე ადამიანები, პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული მუშაკები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობა შეიკრიბა უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში, რასაც ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად განიცდის ქართველი ხალხი, ემზადება რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის. კომუნისტური მშენებლობის იმ გრანდიოზული პერსპექტივებით აღფრთოვანებული, რომლებიც დასახულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მომავალ ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში, ჩვენი რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მშრომელები კიდევ უფრო ენერგიულად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რეზერვების გამოყენებისა და სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ზრდისათვის.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია XIX ყრილობაზე მოვიდა როგორც ერთიანი, მონოლიტური რაზმი, მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო, რომელსაც მაღლა უჭირავს მარქსიზმ-ლენინიზმის ძლევამოსილი დროშა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **ვ. პ. მჟავანაძე** დამსწრეთა ხანგრძლივი ტაშის გრიალში საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობას გახსნილად აცხადებს.

ყრილობა ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს. საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **გ. ა. გეგეშიძის** წინადადებით ყრილობის პრეზიდიუმი ერთხმად არჩეულ იქნა 39 კაცის შემადგენლობით. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეული არიან ამხანაგები: **ი. ბ. აბაშიძე, მ. თ. ბღაუბა, კ. ნ. გალიცკი, გ. ა. გეგეშიძე, ა. მ. დავითაშვილი, ნ. კ. დოლგაია, ი. ს. დოლიძე, ფ. დ. დუმბაძე, გ. ვ. ენიუტინი, ზ. ი. თავზარაშვილი, ვ. ზ. თოხაძე, ა. ნ. ინაური, ფ. ა. ირიციანი, ვ. ნ. კინწურაშვილი, ა. ა. კობაიძე, პ. ვ. კოვანოვი, მ. ი. კუჭავა, მ. მ. ლელაშვილი, დ. გ. მამაცაშვილი, დ. მ. მამულაძე, ვ. თ. მანაგაძე, ვ. პ. მუკანაძე, ნ. ი. მუსხელიშვილი, ი. ს. ორჯონიკიძე, გ. ვ. რაჭველიშვილი, კ. კ. როკოსოვსკი, გ. გ. სანაკოევი, ე. პ. ტაკიძე, ა. ა. ტუფიკოვი, გ. ი. ქადაგიძე, ა. კ. ქვარცხავა, კახრამან მუსა ოღლი შაბანოვი, ს. ა. შარაძენიძე, ე. ა. შევარდნაძე, გ. ი. ჩოგოვაძე, მ. დ. ჩუბინიძე. ზ. თ. ცხომელიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, გ. დ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **მ. თ. ბღაუბას** შეაქვს წინადადება არჩეულ იქნას სამანდატო კომისია. ყრილობა ერთხმად ირჩევს სამანდატო კომისიას 11 კაცის შემადგენლობით. მათ შორის არიან ამხანაგები: **ა. კ. ასათაშვილი, ა. დ. თხილაიშვილი, დ. ა. ივაშჩენკო, ა. ე. მელაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ვ. მ. სირაძე, მ. გ. ჩიქოვანი, პ. ი. ჩხობაძე, დ. ა. ჭიჭინაძე, თ. ბ. ჯანელიძე, ნ. მ. ჯიბლაძე.**

საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. **დ. მ. მამულაძის** წინადადებით ერთხმად არჩეულ იქნა სარედაქციო კომისია 9 კაცის შემადგენლობით. კომისიაში შედიან ამხანაგები: **მ. ა. გოგიჩაიშვილი, ო. დ. გოცირიძე, ს. გ. თიბილოვი, ზ. ა. კვაჭაძე, ა. მ. ლაბახუა, დ. ვ. მჭედლიშვილი, ზ. ნ. პოლოსიანი, ი. ი. ჩხიკვიშვილი, ნ. ს. ჯავახიძე.**

საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **გ. გ. სანაკოევს** შეაქვს წინადადება არჩეულ იქნას ყრილობის სამდივნო 9 კაცის შემადგენლობით. ყრილობა ერთხმად ირჩევს სამდივნოს ამხანაგებს **დ. ვ. გელაშვილს, ზ. ბ. გელდიაშვილს, ვ. ს. კვარაცხელიას, გ. ნ. მელაძეს, გ. გ. პაიჭაძეს, მ. უ. უულიევს, კ. ს. ციმაკურიძეს, ა. ვ. ჭირაქაძეს, ე. მ. ჯაფარიძეს** შემადგენლობით.

ტრიბუნაზეა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. **ი. ს. დოლიძე.** მას შეაქვს წინადადება არჩეულ იქნას ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობით. ამ წინადადებას დელეგატები უდიდესი აღფრთოვანებით ხვდებიან და ფეხზე ამდგარნი ერთსულოვანი ხანგრძლივი ტაშით იწონებენ.

ერთხმად ამტკიცებენ შემდეგ დღის წესრიგს:

1. თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები.

2. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XXI ყრილობის დელეგატთა არჩევნები.

ყრილობა ამტკიცებს თავისი მუშაობის რეგლამენტს.

თავმჯდომარე — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. **პ. ვ. კოვანოვი** მოხსენებისათვის „თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“ სიტყვას აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატს, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. **ვ. პ. მჟავანაძეს,** რომელსაც დელეგატები გულთბილად ხვდებიან.

შემდეგ ყრილობა გადადის მოხსენების განხილვაზე. კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს კპ თბილისის კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. ა. გეგეშიძემ,** ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის აგლოსაბრძმედე საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირმა ამხ. **ა. ვ. ძამაშვილმა,** საქართველოს კპ მახარაძის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **ვ. ზ. თოხაძემ,** საქართველოს კპ აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **მ. თ. ბღაუბამ.**

ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ი. გ. რთველიაშვილმა.**

ყრილობამ ერთხმად დაამტკიცა სამანდატო კომისიის მოხსენება.

ამით დამთავრდა ყრილობის დილის სხდომა.

* * *

ყრილობის საღამოს სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ამხ. **გ. ი. ქადაგიძის** თავმჯდომარეობით, გრძელდებოდა განხილვა მოხსენებისა „თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები“.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

ამხანაგებო!

საყოველთაო პოლიტიკური და შრომითი აღმავლობით აღსავსე ღირსშესანიშნავ დღეებს განიცდის საბჭოთა ხალხი. მალე შეუდგება მუშაობას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობა, რომელიც აღნიშნავს ჩვენი ქვეყნის შესვლას თავისი განვითარების ახალ უმნიშვნელოვანეს პერიოდში — კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში. დეკემბრის შუა რიცხვებში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა უკანასკნელ ხუთ წელიწადში სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის გაწეული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის შესანიშნავი შედეგები და დასახა სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდების ამოცანები. ახლახან დამთავრდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია, რომელმაც მიიღო დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მთელი რიგი კანონები და დადგენილებები.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა, ინტელიგენციანი ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებებს, რომლებიც შეესაბამება მთელი საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, გამსჭვალულია სოციალისტური სამშობლოს ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისათვის ზრუნვით.

საბჭოთა ხალხი მშობლიური პარტიის XXI ყრილობას ეგებება უდიდესი წარმატებებით ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში. ჩვენი სოციალისტური სამშობლო ავიდა ახალ სიმაღლეზე, მისი ძალები იმდენად გაიზარდა, რომ მას შეუძლია გადაჭრას გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები.

მსოფლიო - ისტორიული მიღწევები, რომლებიც სსრ კავშირმა მოიპოვა სოციალისტური მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, შედეგია საბჭოთა ხალხის დაუღალავი შემოქმედებითი შრომისა და იმ უდიდესი პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობისა, რასაც ეწევა კომუნისტური პარტია, რომელიც თანმიმდევრულად ახორციელებს ლენინურ გენერალურ ხაზს.

შემოქმედებითად ავითარებს რა მარქსიზმ-ლენინიზმს, პარტია ეწევა გადამწყვეტ ბრძოლას იმათ წინააღმდეგ, ვინც ებღაუჭება მუშაობის ძველ, დროდამფულ ფორმებსა და მეთოდებს, ვინც შეპყრობილია კონსერვატიზმით და ეწინააღმდეგება პარტიის გენერალური ხაზის განხორციელებას. პარტიამ ამხილა და გაანადგურა მალენკოვის, კაგანოვიჩის, მოლოტოვის, ბულგანინისა და შეპილოვის ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც იბრძოდა პარტიის ლენინური გენერალური ხაზის წინააღმდეგ. XX ყრილობის მიერ მიღებული პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ და დაადგა ფრაქციული, გამთიშველი საქმიანობის გზას.

* * *

ემყარება რა მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებას, პარტიამ შეიმუშავა და განახორციელა სამეურნეო-პოლიტიკური ღონისძიებანი, რომლებსაც არა მარტო უდიდესი პრაქტიკული, არამედ აგრეთვე თეორიული მნიშვნელობა აქვთ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში დასახულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული პერსპექტივები.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების შვიდწლიანი გეგმის მთავარი ამოცანაა ეკონომიკის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა მძიმე ინდუსტრიის უპირატესი ზრდის ბაზაზე, ჩვენი ქვეყნის ეკონომიური პოტენციალის მნიშვნელოვანი გაძლიერება, რათა უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება.

სსრ კავშირის ეკონომიური განვითარების ყოველი ღონისძიებით დაჩქარებისათვის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია მძიმე ინდუსტრიის იმ დარგების უპირატესი ზრდა, რომლებიც ხელს უწყობენ მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომ სწრაფ აღმავლობას.

საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ შავი და ფერადი ლითონების წარმოების მნიშვნელოვნად გადიდებას სახალხო მეურნეობის მზარდ მოთხოვნილებათა უფრო სრულად დაკმაყოფილებისათვის.

გათვალისწინებულია ქიმიური მრეწველობისა და განსაკუთრებით ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს, პლასტიკური მასებისა და სხვა სინთეზური მასალების წარმოების დაჩქარებული განვითარება. ქიმიური მრეწველობა გახდება ნედლეულის უმნიშვნელოვანესი ბაზა სახალხო მოხმარების საქონლის წარმოებისათვის.

შეიცვლება სათბობის ბალანსის სტრუქტურა ყველაზე ეკონომიურ სახეობათა სათბობის — ნავთობისა და გაზის მოპოვებისა და წარმოების უპირატესი განვითარების გზით.

გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის ელექტროფიკაციის სწრაფი განვითარება დიდი თბოელექტროსადგურების მშენებლობის გზით, აგრეთვე ჰიდროელესადგურების აგებით იქ, სადაც ეს ეკონომიურად ხელსაყრელია.

უნდა განხორციელდეს რკინიგზის ტრანსპორტის ტექნიკური რეკონსტრუქცია ელექტროფიკაციისა და თბომავლის წევის ფართოდ დანერგვის საფუძველზე.

სამრეწველო პროდუქციის ცალკეული სახეობათა მიხედვით საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია: თუჯის გამოდნობა შვიდწლედის მანძილზე გადიდდეს 39-დან 65-70 მილიონ ტონამდე, ფოლადისა — 55-დან 86-91 მილიონ ტონამდე წელიწადში. გათვალისწინებულია ნაგლინის წარმოება გადიდდეს 64 პროცენტით.

ნავთობის ამოღება დიდდება ერთიორად და უფრო მეტად, გაზის მოპოვება და წარმოება — დაახლოებით 5-ჯერ.

ქიმიური მრეწველობის პროდუქციის წარმოება გადიდდება თითქმის 3-ჯერ.

შვიდწლედის განმავლობაში ელექტროენერგიის გამომუშავება გადიდდება ერთიორად და უფრო მეტად და შეადგენს 500 მილიარდ კილოვატ-საათზე მეტს.

დასახულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი აღმავლობა, რაც უზრუნველყოფს იმას, რომ დაკმაყოფილდეს ჩვენი ქვეყნის განუწყვეტლივ მზარდი მოთხოვნილებანი სურსათზე და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულზე.

საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებულია, სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის დაახლოებით 1,7-ჯერ გადიდებისას, შემდეგი დავალებანი სასოფლო-სამეურნეო წარმოების უმნიშვნელოვანესი დარგების მიხედვით:

მარცვლეულის წარმოების გადიდება 10-11 მილიარდ ფუთამდე;

შაქრის ჭარხლისა — 70-78 მილიონ ტონამდე;

ნედლი ბამბისა — 5-6 მილიონ ტონამდე;

ხორცისა (დაკლული წონით) — 16 მილიონ ტონამდე;

რძისა — 100-105 მილიონ ტონამდე.

მიღწეულ უნდა იქნას საბინაო მშენებლობის სწრაფი განვითარება, რათა წარმატებით შესრულდეს პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანა, რომ ლიკვიდირებულ იქნას მშრომელთათვის ბინების ნაკლებობა.

მომავალი შვიდწლედის დიდმნიშვნელოვანი ამოცანა ის არის, რომ ინტენსიურად მოვაქციოთ სამეურნეო ბრუნვაში ჩვენი ქვეყნის მდიდარი ბუნებრივი რესურსები, გავაუმჯობესოთ საწარმოო ძალების განლაგება მის ტერიტორიაზე, შემდგომ მივუახლოოთ მრეწველობა ნედლეულისა და სათბობის წყაროებს, მოხმარების რაიონებს.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ჩვენი ქვეყნის ბუნებრივ სიმდიდრეთა შემდგომ ათვისებას.

მომავალი შვიდწლედი აღინიშნება ტექნიკური პროგრესით სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. ამას უზრუნველყოფს უწინარეს ყოვლისა სამამულო მანქანათმშენებლობის, განსაკუთრებით ჩარხმშენებლობის, ხელსაწყოთმშენებლობის, რადიოელექტრონიკის, ელექტროტექნიკის განვითარება, მეტალურგიისათვის, ქიმიის, ნავთობისა და გაზის მრეწველობისათვის უფრო სრულყოფილ სახეობათა მოწყობილობის წარმოების განვითარება, სამშვიდობო მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგების შემდგომი გაფართოება და სხვ.

შვიდწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელების აუცილებელი პირობაა შრომის ნაყოფიერების ყოველი ღონისძიებით გადიდება ახალი ტექნიკის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ფართოდ დანერგვის

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(გაგრძელება).

და კადრების კვალიფიკაციის ამაღლების საფუძველზე. ეს იქნება პროდუქციის მატების მთავარი ფაქტორი მომავალ შვიდწლედში. შვიდწლედის მანძილზე შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 51 პროცენტით.

I. მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა

ამხანაგებო! სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები ითვალისწინებენ ჩვენი რესპუბლიკის შემდგომ ყოველმხრივ ეკონომიურ და კულტურულ აღმავლობას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდი წლის გეგმით გათვალისწინებულია შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრა:

რესპუბლიკის სათბობი და ენერგეტიკული ბაზის განმტკიცება ელექტროენერგიის დეფიციტის ლიკვიდაციისათვის ჰიდროსადგურების ახალ სიმძლავრეთა და გიგანტ მომუშავე მძლავრი თბოელექტროსადგურის ამუშავების, ქალაქების თბილისისა და რუსთავის მრეწველობისა და ყოფაცხოვრების გაზიფიკაციის გზით.

შავი და ფერადი მეტალურგიის შემდგომი განვითარება ფეროშენადნობთა წარმოების გაფართოების და მადნეულის საბადოს სპილენძისა და ბარიტ-პოლიმეტალური მადნების მოპოვებისა და გადამუშავების ორგანიზაციის, მარგანეცის მრეწველობის ზრდის ხაზით.

ქიმიური მრეწველობის დაჩქარებული განვითარება ახალ წარმოებათა და განსაკუთრებით სინთეზური ბოჭკოსათვის (კაპროლაქტამისათვის) ნახევარპროდუქტების ორგანიზაციის გზით. ქიმიური მრეწველობის პროდუქცია 6-ჯერ გაიზრდება.

მანქანათმშენებლობის დარგებიდან ყველაზე მეტად განვითარდება ელექტროტექნიკური წარმოება და ხელსაწყოთმშენებლობა; მკვეთრად გაიზრდება სამაგისტრალო ელმავლების გამოშვება.

შემდგომ განვითარდება კვების მრეწველობა, განსაკუთრებით ჩაისა და ღვინის მრეწველობა.

გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის ყველა დარგის და, პირველ რიგში, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის, მეგვინახეობისა და მეხილეობის, აგრეთვე პროდუქტიული მეცხოველეობის აღმავლობა.

ყოველმხრივ ფართოვდება საბინაო მშენებლობა, რათა უახლოეს წლებში ლიკვიდირებულ იქნას ბინების ნაკლებობა.

მრეწველობის უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოების ზრდა 1965 წელს 1958 წელთან შედარებით შეადგენს თუჯის დარგში — 55 ათას ტონას, ფოლადისა — 241 ათას ტონას, ნაგლინისა — დაახლოებით 200 ათას ტონას, ქვანახშირისა— 780 ათას ტონაზე მეტს, ელექტროენერგიისა — 2,3-ჯერ, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — 2,6-ჯერ და ავტომობილებისა —2,5-ჯერ, ცემენტისა — 150 ათას ტონაზე მეტს, მინერალური სასუქებისა — 2,2-ჯერ, ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილებისა — 167 პროცენტს, ტყავის ფეხსაცმლისა — 129,3 პროცენტს, ხორცისა — 124,1 პროცენტს, პირველადი დამუშავების ჩაისა— 130 პროცენტს და ყურძნის ღვინისა — 2,4-ჯერ და უფრო მეტს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის დასახული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 1959-1965 წლებისათვის შეადგენს 16,8 მილიარდ მანეთს. მრეწველობის საერთო პროდუქცია გაიზრდება თითქმის 75 პროცენტით და შეადგენს 26 მილიარდ მანეთს.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობიდან საწარმოო მშენებლობისათვის წარიმართება 11 მილიარდი მანეთი, რაც წინა შვიდწლედთან შედარებით მოგვცემს ზრდას 26 პროცენტით.

საბინაო და კომუნალური მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 4 მილიარდ მანეთზე მეტი, ანუ ზრდა 67 პროცენტით. ჯანმრთელობის დაცვისა, განათლებისა და კულტურისათვის — 1 მილიარდ 300 მილიონი მანეთი, ანუ გვექნება ზრდა 63 პროცენტით.

კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 3 მილიარდ მანეთზე მეტი რაოდენობით, ანუ გვექნება ზრდა თითქმის ერთიორად. სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა სახსრებით შვიდწლედის განმავლობაში აშენდება 4 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები ნაცვლად 1952-1958 წლების 1 მილიონ 800 ათასი კვადრატული მეტრისა, ანუ 2,2-ჯერ მეტი. გარდა ამისა, მუშათა და მოსამსახურეთა სახსრებით და სახელმწიფო კრედიტის დახმარებით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 2 მილიონ 500 ათას კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი ნაცვლად წინა შვიდწლედის 1 მილიონ 300 ათასი კვადრატული მეტრისა.

გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან შვიდწლედის განმავლობაში დაიხარჯოს 880 მილიონ მანეთზე მეტი. გარდა ამისა, ნავთობისა და გაზის ხაზით ღრმა საძიებო ბურღვისათვის გათვალისწინებულ კაპიტალდაბანდებათა ხარჯზე შვიდწლედისათვის გამოიყოფა 270 მილიონ მანეთზე მეტი.

გეგმის პროექტი ითვალისწინებს შრომის ნაყოფიერების გადიდებას 1959-1965 წლების მანძილზე მრეწველობაში 42 პროცენტით და მშენებლობაში 62 პროცენტით. შრომის ნაყოფიერების გადიდების ზრდა გათვალისწინებულია მიღებულ იქნას 1965 წელს პროდუქციის მატება 68 პროცენტზე მეტით.

ნავარაუდევია პროდუქციის თვითღირებულების შემდგომი შემცირება.

მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვი 1965 წლისათვის 1958 წელთან შედარებით გადიდდება 100 ათასი კაცით.

მოსახლეობის შემოსავლისა და სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდის შესაბამისად გათვალისწინებულია საცალო საქონლბრუნვის მოცულობა გადიდდეს 60 პროცენტით.

განათლების სამინისტროს სკოლებში 1965 წელს იქნება 747 ათასი მოსწავლე ნაცვლად 1958 წლის 625,3 ათასისა.

საკონტროლო ციფრების შესაბამისად მოსწავლეთა რიცხვმა რესპუბლიკის სკოლა-ინტერნატებში შვიდწლედის ბოლოსათვის უნდა შეადგინოს 42 ათასი კაცი.

ბევრად გაიზრდება ბიბლიოთეკების, საკლუბო დაწესებულებების რიცხვი. კინოდანადგარების რაოდენობა 1958 წლის 965 ერთეულიდან გაიზრდება 1,400 ერთეულამდე 1965 წელს, ე. ი. თითქმის ყველა დიდ სოფელში იქნება კინოდანადგარი.

ჯანმრთელობის დაცვის დარგშიც დასახულია დიდი ღონისძიებანი. საავადმყოფოებში საწოლთა რიცხვი შვიდწლედის ბოლოსათვის აყვანილ იქნება 36 ათასამდე, ე. ი. გადიდდება 9.400 საწოლით.

პროექტი ითვალისწინებს ადგილების რაოდენობის გადიდებას საბავშვო ბაღებში 1965 წლისათვის 19 ათასამდე და უფრო მეტად ნაცვლად 1958 წლის 13.800 ადგილისა.

შვიდწლედის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიური კავშირი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან. ჩვენ გავიტანთ მარგანეცის მადანს, ფეროშენადნობებს, ფოლადის მილებს, ლითონსაჭრელ ჩარხებს, სატვირთო ავტომობილებს, ელექტრომოწყობილობას, სამაგისტრალო ელმავლებს, აგრეთვე ჩაის, ყურძნის ღვინოს, ციტრუსოვანთა ნაყოფს და სხვ. ამასთან ერთად გაძლიერდება სხვა რესპუბლიკებიდან ხეტყის მასალის, რკინის მადნის, შავი და ფერადი ლითონების ნაგლინის, მინის, რეზინა-ტექნიკურ ნაკეთობათა, მარცვლეულის, შაქრის, ხორცისა და სხვათა შემოზიდვა.

ამხანაგო დელეგატებო!

მილიონობით საბჭოთა ადამიანი ფართოდ და ყოველმხრივ განიხილავს სკკპ XXI ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების უახლოესი შვიდწლედის საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს. ეს განხილვა, ისევე როგორც ახლახან დამთავრებული საყოველთაო-სახალხო განხილვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისებისა სახალხო განათლების სისტემის გარდაქმნის შესახებ, მკაფიოდ მოწმობს პარტიისა და ხალხის ერთიანობას, მათს მიზანდასახულ ბრძოლას კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისათვის.

საბჭოთა ადამიანების უფართოესი ფენების მონაწილეობა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვაში ერთხელ კიდევ მკაფიოდ მოწმობს იმას, რომ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა მთელი საბჭოთა ხალხის საქმეა, საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი ენერგიის უშრეტ წყაროშია პარტიის მიერ დასახული კომუნისტური მშენებლობის გეგმების, წარმატებით განხორციელების გადამწყვეტი პირობა. და ხალხის შემოქმედების შესანიშნავ წყაროს ჯერ კიდევ არასოდეს არ უჩქეფია ისე მძლავრად, როგორც ამ ისტორიულ დღეებში.

ისევე როგორც მთელ საბჭოთა კავშირში, ჩვენშიც, საქართველოში, ფართოდ გაჩაღდა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების განხილვა.

თეზისების განხილვას მიეძღვნა პარტიული აქტივის საქალაქო და რაიონული კრებები, ღია პარტიული კრებები, მშრომელთა კრებები და მიტინგები.

აქტივის კრებები გაიმართა ყველა საქალაქო და რაიონულ პარტიულ ორგანიზაციაში, მათ დაესწრო 16 ათასამდე კაცი. კამათში მონაწილეობა მიიღო 725 ამხანაგმა. მომხსენებლებად ამ აქტივებზე გამოვიდნენ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრები, ცენტრალური კომიტეტის წევრები და რესპუბლიკის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები.

გამართულ 10.057 ღია პარტიულ კრებას დაესწრო 195.000 კომუნისტი და 117.000 უპარტიო ამხანაგი. ნოემბრის პლენუმის მასალების განხილვაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 47 ათასმა კაცმა.

გაიმართა მშრომელთა 6.783 კრება და მიტინგი, რომლებსაც დაესწრო 900 ათასი კაცი, ხოლო კამათში მონაწილეობა მიიღო 50 ათასზე მეტმა კაცმა.

ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები აქტიურად ჩაებნენ ბრძოლაში ჩვენი ქვეყნის მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებისათვის. იშვა ახალი, შესანიშნავი მოძრაობა კომუნისტური შრომის ბრიგადების შექმნისათვის. კომუნისტური შრომის ბრიგადის მაღალი წოდების მიღებისათვის ამჟამად იბრძვის 1.054 ბრიგადა, მათ შორის 498 ბრიგადა სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე და 556 ბრიგადა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

შვიდწლედის საკონტროლო ციფრების საყოველთაო-სახალხო განხილვასთან დაკავშირებით რესპუბლიკური, საოლქო, საქალაქო და რაიონული გაზეთების რედაქციებმა მშრომელთა უამრავი წერილი და წინადადება მიიღეს. მიმდინარე წლის 1 იანვრისათვის მიღებულია 7 ათასამდე წერილი და სხვადასხვა წინადადება, რომელთაგან უკვე გამოქვეყნებულია 5 ათასზე მეტი.

ყოველივე ეს სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისების საყოველთაო-სახალხო განხილვის ჭეშმარიტად ფართო გაქანების მკაფიო დადასტურებაა.

მასშტაბების მხრივ ეს წინადადებები სხვადასხვანაირია: ზოგიერთი მათგანი ეხება ცალკეული საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, დაწესებულებების მუშაობის საკითხებს, სხვები სოფლის, რაიონის ან ქალაქის ცხოვრებას, ზოგიერთი კი რესპუბლიკური მასშტაბისაა და ა. შ.

თავისი ხასიათის მიხედვითაც ეს მრავალრიცხოვანი წინადადებანი სხვადასხვა და მრავალფეროვანია. არ არის სახალხო მეურნეობის ისეთი დარგი, რომელსაც ისინი არ ეხებოდნენ. იქნება ეს ენერგეტიკა თუ ქიმიური მრეწველობა, მეტალურგია თუ მანქანათმშენებლობა, ტრანსპორტი თუ კვების მრეწველობა; მშრომელთა წინადადებები ეხება აგრეთვე კულტურას, მეცნიერებას, საყოფაცხოვრებო მომსახურებას და ა. შ.

ვიმეორებ, ეს არის კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული გეგმის ჭეშმარიტად ყოველმხრივი და საყოველთაო-სახალხო განხილვა.

ცხადია, ყველა ეს მრავალრიცხოვანი წინადადება ყურადღებისა და განხილვის ღირსია. ზოგი მათგანის განხორციელება საჭიროა გავითვალისწინოთ შვიდწლიანი გეგმით, ზოგი კვლავ უნდა დამუშავდეს და განსახილველად წარედგინოს შესაბამის ორგანოებს — მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოს, სახელმწიფო საგეგმო კომისიას. ზოგიერთი წინადადება უნდა გადავდოთ უფრო გვიანი ვადისათვის, ხოლო წინადადებათა ნაწილი მიზანშეუწონელია ამა თუ იმ მიზეზით ან დაუსაბუთებელია და სხვ.

ყველა ამ წინადადების საერთო დამახასიათებელი ის არის, რომ ისინი გამსჭვალული არიან ერთიანი სულისკვეთებით, ერთიანი ზრუნვით ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, მისი ძალისა და ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის. ზრუნვით ჩვენი საბჭოთა ადამიანებისათვის — კომუნისტური საზოგადოების გმირი მშენებლებისათვის.

როგორც ცნობილია, მიმდინარე შვიდწლედის მანძილზე რესპუბლიკაში ამუშავდება დიდი ენერგეტიკული სიმძლავრენი — ლაჯანურის ჰიდროელსადგური, ხრამის მეორე ჰიდროელსადგური და ყარადაღის გაზით მომუშავე თბოელექტროსადგური. ამის შედეგად ჩვენი ელსადგურები 1965 წელს გამომიმუშავებენ 6 მილიარდ 800 მილიონ კილოვატსაათ ელექტროენერგიას. ეს ერთიორად მეტი იქნება ელექტროენერგიაზე, რასაც მთელი მეფის რუსეთი რევოლუციამდე იძლეოდა. მაგრამ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების დასახული ტემპები, განსაკუთრებით შვიდწლედის შემდგომ წლებში, მოითხოვს ენერგეტიკის დამატებითს მძლავრ განვითარებას. სათბობის ბალანსის დეფიციტურობის გათვალისწინებით, ენერგეტიკის განვითარება რესპუბლიკაში უნდა წარიმართოს უპირატესად იმ გზით, რომ აშენდეს მძლავრი, ეფექტიანი და ხელსაყრელი ჰიდროელსადგურები, რომლებიც გამოიყენებენ ჩვენს განსაკუთრებით მდიდარ ჰიდროენერგეტიკულ რესურსებს.

ამ საკითხის ყოველმხრივი გარჩევისა და განხილვის შემდეგ ჩვენ წარვადგენთ საკავშირო მთავრობაში წინადადება, რომ აშენდეს მძლავრი ჰიდროელსადგური მდინარე ენგურზე, და ვითხოვეთ ამის გათვალისწინება შვიდწლიან გეგმაში. ეს ჰიდროელსადგური გამომიმუშავებს დაბალი თვითღირებულების ელექტროენერგიას (კილოვატ-საათი ეღირება არა უმეტეს 1 კაპიკისა), ამასთან ეს იქნება ფრიად ეფექტიანი ნაგებობა, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში მთლიანად აანაზღაურებს მშენებლობის ღირებულების განსხვავებას თბოელექტროსადგურთან შედარებით. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს წინადადება მიღებულ იქნება.

ამასთან დაკავშირებით მთელი რიგი ორგანიზაციები აყენებენ წინადადებას, რომ შვიდწლედის პერიოდში მოეწყოს და დამთავრდეს საპროექტო-საძიებო სამუშაოები მთელი ენგურის კასკადის წყლის რესურსების გამოსაყენებლად. მიზანშეწონილია ეს წინადადება განხილულ იქნას ენგურის ჰიდროელსადგურის მშენებლობის საკითხის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში.

ბოგდანოვკის რაიონის პარტიული აქტივის კრებაზე კომუნისტებმა დააყენეს საკითხი, რომ რაიონი მომარაგდეს ელექტროენერგიით ენერგოსისტემიდან. ეს წინადადება შეტანილია შვიდწლიანი გეგმის პროექტში.

ხრამის მეორე ჰესის მშენებელთა კოლექტივმა წინადადება შემოიტანა შვიდწლიანი გეგმის პროექტში შეტანილ იქნას ნარდევანის ჰესის მშენებლობა ხრამის ხეობაში თაფარავნის ტბის წყლის გადაგდების ბაზაზე. ამ წინადადების მიღება დაკავშირებულია თაფარავნის ტბის ფსკერის ფილტრაციის წინასწარ გამოკვლევასთან. ამჟამად ამ საკითხს განიხილავენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში.

შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიური მრეწველობისა და მანქანათმშენებლობის შემდგომი განვითარების საკონტროლო ციფრების განხილვის შემდეგ ჩვენ შევიტანეთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტში ზოგიერთი წინადადება და დაზუსტება.

საკონტროლო ციფრების პროექტის შედგენისას არ იყო საპროექტო-ტექნიკური დოკუმენტაცია რუსთავში სინთეზური ბოჭკოს ქარხნის მშენებლობისათვის. ახლა ეს დოკუმენტაცია არის. ამ საწარმოს ღირებულება რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი იქნება.

კაპიტალდაბანდებანი მანქანათმშენებლობაში საკონტროლო ციფრების გეგმით გათვალისწინებულია 670 მილიონი მანეთის ოდენობით. ამ დარგში ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ ახალი ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო ქარხნების განვითარება, ელექტროტექნიკური მრეწველობის სამი მოქმედი ქარხნის. ელექტრომავალსამშენებლო ქარხნის მშენებლობის დამთავრება., სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროების საწარმოო-ტექნიკური ბაზების შექმნა.

ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის კოლექტივმა დააყენა საკითხი ჟანგბადის გამომმუშავებელი დიდი დანადგარის შენებლობის შესახებ, რომელიც ჟანგბადით მომარაგებს როგორც მეტალურგიულ, ისე აზოტოვანი სასუქების ქარხნებს. ნავარაუდევი იყო აგრეთვე კირქვის ამოღების მოწყობა წითელწყაროს რაიონში, რაც ქარხანას მისცემს 20 მილიონ მანეთ წლიურ ეკონომიას.

კრებაზე ქალაქ რუსთავში მშრომელებმა ბევრი საინტერესო წინადადება შემოიტანეს. იყო წინადადება ქალაქ რუსთავში აზოტოვანი სასუქების ქარხანასთან ავაგოთ შარდოვანას საამქრო. საჭიროა ეს წინადადება განხილულ იქნას, რადგან შარდოვანას ბაზაზე შეიძლება ვაწარმოოთ მაღალხარისხოვანი პლასტიკური მასები და სასუქები.

იყო აგრეთვე წინადადება, რომ მანგანუმის აქტიური ორეანგისა და კალიუმის პერმანგანატის საამქროს მშენებლობა რუსთავიდან ზესტაფონში გადავიტანოთ. ამ წინადადების მიზანშეწონილობა სახალხო მეურნეობის საბჭომ უნდა განიხილოს.

ბათუმის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნის მუშაკები აყენებენ მეორე ნავთობსადენის მშენებლობის საკითხს, რადგან ქარხნის სიმძლავრის გადიდებასთან დაკავშირებით ერთი ნავთობსადენი ვერ უზრუნველყოფს მის მოთხოვნილებას.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო აყენებს საკითხებს: მოხდეს ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ლაქ-საღებავების ზვრილი ქარხნების სპეციალიზება და გამსხვილება, მოიწყოს განსაკუთრებული სახელმწიფო კონტროლი ქიმიური მრეწველობის მშენებლობისა და რეკონსტრუქციის მსვლელობისადმი. ამ წინადადებათაგან პირველი, როგორც ჩანს, ხელს შეუწყობს საღებავების წარმოების გადიდებასა და ხარისხის გაუმჯობესებას. მეორე წინადადება კი, ჩვენი აზრით, მიუღებელია, მით უმეტეს, რომ უკვე არსებობს სპეციალური ხელმძღვანელი კომიტეტი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ქმედითი კონტროლი ახალ ქიმიურ საწარმოთა მშენებლობისა და მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციისადმი.

ახალციხეში შემოტანილი იყო, ჩვენი აზრით, სწორი წინადადება იქ ბრიკეტის ფაბრიკის მშენებლობის შესახებ. ახლა განიხილავენ საკითხს ბრიკეტის ფაბრიკის მშენებლობის ტყიბულიდან ახალციხეში გადატანის შესახებ.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატი წინადადებას იძლევა გადიდდეს შახტ „შაორი-1“-ის საპროექტო სიმძლავრე 3 მილიონ ტონამდე. შახტი „შაორი-1“ ჯერ დაპროექტებული არ არის, მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ, რომ შაორის საბადოს გახსნა დიდ კაპიტალდაბანდებებს მოითხოვს, უსათუოდ მიზანშეწონილია მისი საპროექტო სიმძლავრე გადიდდეს 3 მილიონ ტონამდე წელიწადში.

შვიდწლიანი გეგმა ითვალისწინებს კვების, მსუბუქი, სატყეო და ქაღალდის მრეწველობის შემდგომ აღმავლობას. სწრაფი ტემპებით განვითარდება განსაკუთრებით ჩაისა და ღვინის მრეწველობა.

შვიდი წლის მანძილზე რესპუბლიკაში აშენდება 15 ჩაის ფაბრიკა, გაფართოვდება პირველადი მეღვინეობის საწარმოო ბაზა. ჩაის წარმოება გაიზრდება ერთნახევარჯერ, ხოლო ყურძნის ღვინისა — ორნახევარჯერ.

როცა განიხილავდნენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის დარგში, მშრომელები განსაკუთრებით ამახვილებდნენ ყურადღებას მრეწველობის ამ დარგების საწარმოებში საწარმოო პროცესების ავტომატიზაციისა და მექანიზაციის ყოველი ღონისძიებით განვითარებისა და დანერგვის საკითხებზე. შემოტანილი იყო წინადადებანი, რომ შეიცვალოს სართავ-საქსოვი, სატრიკოტაჟო, ტყავ-ფეხსაცმლისა და სხვ. ძველი მცირე წარმადობის მოწყობილობა, რათა განუწყვეტლივ გადიდდეს ქსოვილების, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის გამოშვება, გაუმჯობესდეს მათი ასორტიმენტი და ხარისხი.

მთელი რიგი რაიონების პარტიული აქტივის კრებებზე თეზისების განხილვის მსვლელობაში შემოჰქონდათ წინადადებანი ქვების მრეწველობის ახალი ობიექტების მშენებლობის შესახებ. მაგალითად, გორის, თერჯოლის, ფინის, თელავისა და სიღნაღის რაიონებმა დასვეს საკითხი გათვალისწინებულ იქნას ღვინის ქარხნების მშენებლობა; ხობის, ჩხოროწყუს, ლენტეხისა და გუდაუთის რაიონებმა — საკონსერვო ქარხნების მშენებლობა. გარდა ამისა, გუდაუთის რაიონი თხოულობს გათვალისწინებულ იქნას. ჩაის ფაბრიკის მშენებლობა, ხობის რაიონი — დაფნის ფოთლის გადამმუშავებელი ფაბრიკისა, გორის რაიონი — ხილის სახმობი ფაბრიკებისა, ხოლო ქობულეთის რაიონი მოითხოვს საფუთავი ქარხნის მშენებლობას.

აქვე უნდა ითქვას, რომ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში აღნიშნულია იმის საჭიროება, რომ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სამომხმარებლო კოოპერაციის ძალებით გაჩაღდეს პურის საცხობ, ძეხვეულის ნაწარმისა და ხორცის ნახევარფაბრიკატების, კარაქის, ყველის, ხამანწულისა და ხილის კონსერვების და კვების სხვა პროდუქტების გამოსამუშავებელ საწარმოთა მშენებლობა.

ჩვენს რესპუბლიკას ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში, სამომხმარებლო კოოპერაციის სისტემასა და კოლმეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამუშავების დიდი შესაძლებლობები აქვს.

ამ მხრივ მოსაწონია ინიციატივა ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსი, რომელმაც 1958 წელს მოაწყო ხილის კონსერვებისა და წვენების წარმოება ყასპისა და მახარაძის ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებში — 6 მილიონამდე ქილის საწარმოო სიმძლავრისა.

ყველა ეს წინადადება კვების მრეწველობის ობიექტების მშენებლობის შესახებ ყურადღების ღირსია და მიზანშეწონილია მათი განხილვა. ცალკეული ობიექტების მშენებლობის საკითხის განხილვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მათი მშენებლობა უნდა განხორციელდეს როგორც სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით, ისე ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და ცეკავშირის ხაზით. ამასთან გამოყენებულ უნდა იქნას ბანკის კრედიტები, გრძელვადიანი სესხები, აგრეთვე კოლმეურნეობათა სახსრები.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი რაიონი აყენებდა არა საკავშირო დასაბუთებულ წინადადებებს. ანგარიშს არ უწევდა არც თავის შესაძლებლობებს, არც მოთხოვნილებებს; ამიტომ ამ წინადადებათა განხორციელება არ შეიძლება მიზანშეწონილად ჩაითვალოს, — მაგალითად, ჩაის ფაბრიკის მშენებლობა ვანის რაიონში, ღვინის ქარხნისა — ჩხოროწყუს რაიონში ან ლუდის ქარხნისა — წნორში.

ცალკე მინდა ვილაპარაკო რესპუბლიკის ღვინის მრეწველობის — ჩვენი კვების მრეწველობის მნიშვნელოვანი დარგის განვითარებაზე.

ყურძნის დამზადება წლითიწლობით იზრდება. თუ 1950 წელს იგი შეადგენდა სულ 58 ათას ტონას, 1953 წელს დამზადებული იყო 83 ათასი ტონა, ხოლო გასულ 1958 წელს უკვე 150 ათასი ტონა ყურძენი დამზადდა. 1965 წელს დამზადება აყვანილ უნდა იქნას 330 ათას ტონამდე.

მიუხედავად ასეთი სწრაფი ზრდისა, ღვინის მრეწველობის ტექნიკური ბაზა მკვეთრად ჩამორჩება. 1956 წელს პირველადი მეღვინეობის ქარხნების სიმძლავრე შეადგენდა 65,5 ათას ტონა გადამუშავებულ ყურძენს, ახლა კი იგი შეადგენს 76 ათას ტონაზე ცოტა მეტს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პირველადი მეღვინეობის ქარხნების სიმძლავრე უნდა ვიანგარიშოთ დახურულ სადგომებში დადგმული ტარის ტევადობის მიხედვით და არა ტექნოლოგიური მოწყობილობის მიხედვით, მაშინ ცხადი გახდება, რომ ტექნიკური ბაზის სიმძლავრე ნედლეულის ბაზასთან შედარებით 53 პროცენტს შეადგენს. 1958 წლის მოსავლიდან ღვინომასალის 47 პროცენტი — 5 მილიონ 400 ათასი დეკალიტრი — კასრებშია გარეთ. აქედან გამომდინარე მთელი შედეგებით — ზენორმატიული დანაკარგებით, ღვინის ხარისხის გაუარესებით და სხვ.

მიუხედავად ტექნიკური ბაზის ასეთი მდგომარეობისა, გამოყოფილი სახსრები მეტისმეტად იქნა-ქსენა და არარაციონალურად იხარჯება.

10 ღვინის ქარხნის დაწყებული მშენებლობა დღემდე დამთავრებული არ არის, რადგან 108 მილიონი მანეთის საერთო ღირებულებიდან 1959 წლის 1 იანვრისათვის დაბანდებულია მხოლოდ 35.5 მილიონი მანეთი.

ტექნიკური ბაზის მშენებლობისა და განვითარების ასეთ მდგომარეობაში საჭიროა უფრო მომჭირნეობით და რაციონალურად ვხარჯავდეთ არსებულ ფულად და მატერიალურ სახსრებს.

ვითვალისწინებთ რა ჩვენს შესაძლებლობებს ღვინის მრეწველობის ზრდის უზრუნველყოფისათვის, მიზანშეწონილია პირველ რიგში ვაშენებდეთ ღვინომასალის საცავებს, ხოლო საწნეხი განყოფილებებისათვის მსუბუქი ტიპის უფრო იაფ შენობებს.

ღვინის მრეწველობის ტექნიკურ ბაზას თუ შევეხებით, ისიც უნდა ვთქვათ, რომ საჭიროა ვიზრუნოთ ღვინის გადამუშავების ტექნოლოგიური მოწყობილობის უკეთ გამოყენებისთვისაც. მოწყობილობას თანაბრად როდი იყენებენ. გარდა ამისა, ღვინის ქარხნებში არსებული და თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო ქარხნის მიერ მოწოდებული მოწყობილობა კონსტრუქციულად მოძველდა, მზადდება უხეშად.

სახალხო მეურნეობის საბჭომ უშუალოდ უნდა იმუშაოს ამ საკითხებზე და უზრუნველყოს იმ დიდი ამოცანების წარმატებით გადაჭრა, რომლებიც შვიდწლიანი გეგმით დაკისრებული აქვს ღვინის მრეწველობას.

მშრომელებმა ფართოდ განიხილეს აგრეთვე რესპუბლიკის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის განვითარების პერსპექტივები, შემოიტანეს ბევრი წინადადება.

სიღნაღის რაიონულმა პარტორგანიზაციამ დასვა საკითხი — გათვალისწინებულ იქნას მშენებლობის გეგმის პროექტში ავეჯის მექანიზებული ფაბრიკის აშენება სიღნაღში. ანალოგიური წინადადება შემოაქვს აგრეთვე გურჯაანის პარტორგანიზაციას. ჩანს, მიზანშეწონილია ერთ-ერთ ამ რაიონში აშენდეს ასეთი ფაბრიკა.

სახალხო მეურნეობის საბჭოს სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამმართველო აყენებს საკითხს, რომ შვიდწლიან გეგმაში შეტანილ იქნას სამშენებლო დეტალების ქარხნისა და ხის ბურბუშელის ფილების ფაბრიკის მშენებლობა. საბინაო და სამრეწველო მშენებლობის ფართოდ განვითარებასთან დაკავშირებით ამ წინადადებათა განხორციელება, როგორც ჩანს, მიზანშეწონილია.

საბინაო და სამრეწველო მშენებლობის დაჩქარების მიზნით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მშენებლობის ინდუსტრიალიზაციას, საშენი მასალების, ბეტონისა და რკინა-ბეტონის

(გაგრძელება მე-3 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა სკკპ XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“ და საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ამოცანები

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენება

(გაგრძელება)

ნაკეთობათა წარმოების დამატებითი სიმძლავრეების შექმნასა და სამშენებლო ორგანიზაციების მექანიკურად შეიარაღების დონის ამაღლებას.

„კავსანტექმონტაჟის“ რუსთავის უბნის კომუნისტებმა კრებაზე შეიტანეს წინადადება ქალაქ რუსთავში ან სადმე რესპუბლიკის ტერიტორიაზე აშენდეს სანიტარულ-ტექნიკური ნაწარმის ქარხანა: ამ საკითხის გადაჭრამდე სახელმწიფო საგეგმო კომისიამ უნდა განიხილოს საკითხი მრავალი მშენებლობის სან-ტექნიკური მოწყობილობით უზრუნველყოფის შესახებ, ხოლო ასეთი ქარხნის მშენებლობის საკითხი სერიოზული განხილვის საგანი უნდა გახდეს.

ქალაქ რუსთავის პარტიულმა ორგანიზაციამ აღძრა საკითხი რუსთავის ცემენტის ქარხანაში მესამე მბრუნავი ღუმელის აგების შესახებ. ამ ღონისძიების განხორციელება შესაძლებლობას მისცემს ქარხანას ერთი მესამედით გაადიდოს ცემენტის გამოშვება, ძირითადი საწარმოო საამქროების რეკონსტრუქციის მოუხდენლად. ეს მიზანშეწონილია გათვალისწინებულ იქნას შვიდწლიანი გეგმის პროექტში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული ორგანიზაცია აყენებს საკითხს ქალაქ სტალინირში მძლავრი აგურის ქარხნის მშენებლობის შესახებ. შვიდწლიანი გეგმის პროექტში გათვალისწინებულია სტალინირში 6 მილიონი ცალი კრამიტის სიმძლავრის კრამიტის ქარხნის მშენებლობა, ამავე დროს ქარხანა გამოუშვებს აგრეთვე 1,2 მილიონ ცალ აგურს.

მომავალ შვიდწლედში დიდად განვითარდება რესპუბლიკაში ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამართველოს ხაზით შვიდწლედში გათვალისწინებულია კაპიტალდაბანდებანი 1 მილიარდ 236 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც 1,4-ჯერ მეტია, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში.

რესპუბლიკაში ფართოდ განვითარდება საავტომობილო ტრანსპორტი. ამ მიზნებისათვის შვიდწლედში გათვალისწინებულია კაპიტალდაბანდებანი 361 მილიონი მანეთის რაოდენობით. აგრეთვე მნიშვნელოვანი სახსრებია გამოყოფილი კავშირგაბმულობის საშუალებათა განვითარებისათვის.

ამხანაგო დელეგატებო! სახალხო მეურნეობის გადამწყვეტი დარგების მკვეთრი აღმავლობისათვის ახალი სამრეწველო ობიექტების მშენებლობასა და არსებულთა რეკონსტრუქციასთან ერთად დიდი როლი უნდა შეასრულონ იმ შინარეზერვების გამოვლინებამ და გამოყენებამ, რომლებიც ჩვენ გვაქვს. ამოცანა ის არის, რომ სწორად და რაციონალურად გამოვიყენოთ მთელი ჩვენი სამრეწველო სიმძლავრენი და რესურსები.

ამასთან ოაკავშირებით მინდა ვილაპარაკო ჩვენი მრეწველობის ზოგიერთი დარგის მუშაობაზე, რომლებიც დღემდე მუშაობენ ცუდად, არარენტაბელურად, საკმაოდ არ იყენებენ არსებულ შესაძლებლობებსა და რეზერვებს წარმოების დონის ამაღლებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და რაოდენობის გადიდებისათვის.

ამიერკავკასიის სტალინის სახელობის მეტალურგიულმა ქარხანამ 1958 წლის საერთო პროდუქციის გეგმა 98,2 პროცენტით შეასრულა. ქარხანამ სახელმწიფოს დააკლო ათეულ ათასობით ტონა ფოლადი და მზა ნაგლინი. ცუდი მუშაობის შედეგად ქარხანას მოუვიდა ზეგეგმითი ზარალი 26 მილიონ მანეთზე მეტი რაოდენობით. შესრულებული არ არის აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გეგმა.

ხარისხობრივი მაჩვენებლები მთლიანად 1957 წელთან შედარებით გაუარესდა. გადიდდა ლითონის ხარჯი, გაიზარდა წუნი, გადიდდა მიმდინარე მოცდენათა პროცენტი და სხვ.

ქარხანაში კიდევ არის უდიდესი რეზერვები, რომელთა გამოყენება უზრუნველყოფდა წარმოების მკვეთრ ზრდას. შეამცირებდა პროდუქციის თვითღირებულებას და გაადიდებდა შრომის ნაყოფიერებას. მარტო იმის გამო, რომ გამოდნობის საშუალო ხანგრძლივობამ ქარხანაში 30 წუთით გადააჭარბა საგეგმო დავალებას, ქარხანამ დაკარგა 25 ათას ტონაზე მეტი ფოლადი.

ქარხანაში სუსტად არის დაყენებული პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა, სუსტია შრომის დისციპლინა, ხშირია გაცდენისა და სამუშაოზე დაგვიანების შემთხვევები.

მიუხედავად შექმნილი მდგომარეობისა, ქარხნის ხელმძღვანელობა არა გრძნობს პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, არ მუშაობს შრომითი და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისა და არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. პარტიის რუსთავის საქალაქო კომიტეტი, ქარხნის პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციები სათანადოდ არ მუშაობენ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, სუსტად რაზმავენ ქარხნის კოლექტივს სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის.

სახალხო მეურნეობის საბჭოს მეტალურგიული და ქიმიური მრეწველობის სამმართველო და თვით სახალხო მეურნეობის საბჭოც ჯერ კიდევ არ ახორციელებენ საკმაო ხელმძღვანელობას ქარხნისადმი, არ იღებენ ქმედით ღონისძიებებს ქარხნის მიერ, სახელმწიფო გეგმის შესრულებისათვის მთელი მისი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა საკითხი სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების შესახებ.

გამოირკვა, რომ ქარხნებში საწარმოო სიმძლავრეთა დიდი რეზერვებია, რომელთა სრული გამოყენება შესაძლებელს გახდიდა მნიშვნელოვნად გადიდებულიყო პროდუქციის გამოშვება.

უკანასკნელ ხანს სახალხო მეურნეობის საბჭომ მიიღო ღონისძიებანი მანქანათსამშენებლო და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამმართველოს ქარხნებში საწარმოო სიმძლავრეთა მაქსიმალურად გამოყენებისათვის, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ამ მუშაობას ჯერ კიდევ არასაკმაოდ ეწევიან.

საქართველოს ქვანახშირის კომბინატმა 1958 წელს ქვანახშირის ამოღების გეგმა შეასრულა მხოლოდ 97,5 პროცენტით, ხოლო კონცენტრატის გამოშვებისა — 92,4 პროცენტით.

კომბინატის 13 მოქმედი შახტიდან ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა ვერ შეასრულა 5 შახტმა.

შახტებში დამაკმაყოფილებლად არ ინერგება სამთო სამუშაოთა მექანიზაცია.

ისეთი პროგრესული სისტემის გამოყენების მკვეთრი შემცირება, როგორიც არის ტყიბულის ქვანახშირის ტრესტის შახტებში ჰიდრავლიკური ვსებით ქვანახშირის ამოღება და ტყვარჩელის ქვანახშირის ტრესტის შახტებში მძლავრი ფენების დამუშავების ეფექტიანი სისტემების უქონლობა, იწვევს ქვანახშირის მნიშვნელოვან დანაკარგებს და მომზადებული მარაგის მქონე მთელი რიგი ჰორიზონტების მწყობრიდან უდროოდ გამოსვლას.

რესპუბლიკის ქვანახშირის მრეწველობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა სავსებით რეალური და შესასრულებელია. ამის საწინდარია არსებული რეზერვები, რომლებსაც ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ, დიდი სახსრები, რომლებიც ასიგნებულია ახალი შახტების მშენებლობისათვის და ჩვენი სახელოვანი მუშახტეების პატრიოტული ენთუზიაზმი.

საჭიროა მხოლოდ, რომ კომბინატის მუშაკები უფრო ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ ტრესტებსა და შახტებს, უფრო ხშირად დაიარებოდნენ ადგილებზე და უწევდნენ საჭირო კონკრეტულ დახმარებას.

ჩვენი სახალხო მეურნეობის წამყვან დარგებს დიდი რეზერვები აქვთ. სავსებით უეჭველია, რომ ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასი და ტექნიკური ინტელიგენცია ყველა ღონისძიებას მიიღებენ იმ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომლებიც გათვალისწინებულია სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრებით.

II. სოფლის მეურნეობა

ამხანაგებო! შვიდწლიანი გეგმით უდიდესი ამოცანებია დასახული ჩვენი სოფლის მეურნეობის წინაშე, რომლის განვითარებისათვის გამოყოფილია კაპიტალდაბანდებანი 2 მილიარდ 52 მილიონი მანეთის რაოდენობით. ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტებმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშებმა, ჩვენმა მეცნიერებმა, სპეციალისტებმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის ბრძნული გადაწყვეტილებებით შეიარაღებულებმა, პლენუმისა, რომელმაც შეიმუშავა და დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების 1959-1965 წლების პროგრამა, ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ განხორციელდეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი მძლავრი აღმავლობის დიდი და, უნდა ითქვას, დაძაბული პროგრამა. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამ დღეებში გამართულმა პლენუმმა გადაავლინა ჩვენი დიდი შესაძლებლობანი და რეზერვები ამ დარგში.

უკანასკნელ ხუთ წელიწადში რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანოების მუშაობა სოფლის მეურნეობის დარგში მიმართული იყო იმისაკენ, რომ მკვეთრად გაგვიდიდინა ჩაის, ყურძნის, ხილის, თამბაქოს და სხვა ძვირფასი ტექნიკური კულტურების წარმოება. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საზოგადოებრივი მეცხოველეობის მდგომარეობის გაუმჯობესებას და მისი პროდუქტიულობის ამაღლებას. დიდი მუშაობაა გაწეული კოლმეურნეობათა ორგანიზაციული და სამეურნეო განმტკიცების დარგში.

გასულ წელს რესპუბლიკაში მიღებულია ჩაის ფოთლის სარეკორდო მოსავალი — 133 ათასი ტონა. ყურძენი დამზადებულია 152 ათასი ტონა, ხილი — 87 ათასი ტონა, ხორცი — 41 ათასი ტონა, რძე — 107 ათასი ტონა, კვერცხი — 46 მილიონი ცალი.

მეჩაიეობა ჩვენი სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი წამყვანი დარგია. მის წარმოებაში ჩვენი რესპუბლიკა ასრულებს გადამწყვეტ როლს. იგი იძლევა ჩვენი ქვეყნის ჩაის მთელი პროდუქციის 97 პროცენტს. ამიტომ მეჩაიეობა პარტიული და საბჭოთა ორგანოების ყურადღების ცენტრში უნდა იდგეს. თუ სათანადოდ მოვკიდებთ ხელს ამ საქმეს, არავითარი ეჭვი არ არის, რომ 1965 წლისათვის ჩვენს ქვეყანას მოვცემთ არა 170 ათას ტონა ჩაის, არამედ მნიშვნელოვნად მეტს.

რესპუბლიკის სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს ციტრუსოვანთა — მანდარინის, ლიმონის, ფორთოხლის დამუშავებას. მომავალ შვიდწლედში საჭიროა გაშენდეს 3.700 ჰექტარი ახალი პლანტაციები, რათა 1965 წლისათვის ციტრუსოვანთა ფართობი ავიყვანოთ 13 ათას ჰექტარამდე, ხოლო ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადება — 50-55 ათას ტონამდე.

1965 წლის ბოლოსათვის ბაღების ფართობი აყვანილ უნდა იქნას 140 ათას ჰექტარამდე, აქედან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 73 ათას ჰექტარამდე. ამ პერიოდში ხილის წარმოება უნდა გავადიდოთ თითქმის ერთიორად, რათა სახელმწიფოს მივაყიდოთ 160 ათასამდე ტონა ხილი. ჩვენ ყველა პირობა გვაქვს იმისათვის, რომ ეს პროგრამა უფრო მოკლე ვადებში შევასრულოთ.

ვენახების ფართობი ახლა 68 ათას ჰექტარს აღწევს. მნიშვნელოვნად უნდა გავაძლიეროთ ახალი ვენახების გაშენების ტემპი, რათა შვიდწლედში ვენახების საერთო ფართობი ავიყვანოთ სულ ცოტა 120 ათას ჰექტარამდე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყურძნის მოსავლიანობის გადიდებას. ეს მევენახეობის აღმავლობის დიდმნიშვნელოვანი რეზერვია.

რესპუბლიკის ეკონომიკაში, პირველ რიგში აფხაზეთის რაიონებისათვის, აგრეთვე ლაგოდეხისა და მარნეულის რაიონებისათვის, დიდმნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თამბაქოს, როგორც ძვირფას ტექნიკურ კულტურას. 1965 წლისათვის თამბაქოს წარმოება უნდა ავიყვანოთ 20 ათას ტონამდე.

განსაკუთრებით დიდი ამოცანები დგას ჩვენს წინაშე მეცხოველეობის მკვეთრი აღმავლობის დარგში. სკკპ ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შემდეგ მეცხოველეობაში მდგომარეობა შეიცვალა. ამ ხნის განმავლობაში განხორციელდა პრაქტიკული ღონისძიებანი საკვები ბაზის განმტკიცებისათვის, მეცხოველეობის სადგომების მშენებლობისა და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციისათვის. რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკანასკნელ ხუთ წელიწადში შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს ხორცის, რძის, კვერცხის წარმოების გადიდებაში, ღორისა და ფრინველის გასუქების გაფართოებაში, ცხოველთა ჯიშობრივი შემადგენლობის გაუმჯობესებაში.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გეგმა ითვალისწინებს შვიდ წელიწადში ამ პროდუქტების წარმოების გადიდებას 2-2,5-ჯერ, ხოლო 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე ხორცის წარმოება უნდა გადიდდეს 31-დან 64 ცენტნერამდე. ეს ყველაზე შრომატევადი სამუშაოა, რომელიც დიდ ღონისძიებებს მოითხოვს.

პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების მთავარი და ძირითადი ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონისძიებით აამაღლონ და განამტკიცონ საზოგადოებრივი მეურნეობა. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ უახლოეს წლებში სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში სჭარბობდეს საზოგადოებრივი მეურნეობის ხვედრითი წონა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები მაღალი პატრიოტული აღმავლობით, უმაგალითო აქტივობითა და დიდი ინტერესით განიხილავენ სკკპ XXI ყრილობაზე ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებს.

კოლმეურნეთა, საბჭოთა მეურნეობებისა და სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშათა და მოსამსახურეთა, სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა და მეცნიერების მუშაკთა კრებებზე, განსაკუთრებული შემოქმედებითი აქტივობის ვითარებაში, ერთსულოვნად იწონებდნენ რა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების საკონტროლო ციფრებს, შემოჰქონდათ პრაქტიკული წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ შვიდწლიანი გეგმით დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

ბევრი ამ წინადადებათაგანი უსათუოდ სერიოზული ყურადღების ღირსია.

დავასახელებ ზოგიერთ მათგანს:

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია წინადადებას იძლევა მოეწყოს კონცენტრირებული აზოტოვან-ფოსფოროვანი სასუქების წარმოება ადგილობრივი წარმოების აზოტმჟავას გამოყენებით. ამ ღონისძიების განხორციელება შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად შევამციროთ ფოსფოროვანი სასუქების შორეული მანძილიდან გადმოზიდვის ხარჯები.

მევენახეობის რაიონების კოლმეურნეობებმა შემოიტანეს წინადადება — შეიქმნას მცირეგაბარიტიანი ტრაქტორები და სასოფლო-სამეურნეო იარაღები ვენახებში სამუშაოდ. ეს წინადადება სერიოზული ყურადღების ღირსია — იგი შესაძლებელს გახდის გავადიდოთ მცენარეთა რაოდენობა ფართობის ერთეულზე, მაშასადამე, მნიშვნელოვნად გაადიდებს ვენახების მოსავლიანობას.

წალკის, დმანისის, ლენინგორის, თეთრი წყაროს და სხვა მთიანი რაიონების კოლმეურნეობები აყენებენ საკითხს — დაჩქარდეს მდელოებისა და საძოვრების გასაუმჯობესებელი მანქანების შექმნა, აგრეთვე რესპუბლიკაში შემოტანა.

უნდა ითქვას, რომ ამხანაგები ამ რაიონებიდან სწორად აყენებენ საკითხს, რადგან ბუნებრივი საკვები სავარგულების პროდუქტიულობის ამაღლება წარმოადგენს მნიშვნელოვან ღონისძიებას მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი ზრდის საქმეში.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეთა კრებებზე გადაწყდა მეფრინველეობის წვრილი, არარენტაბელური ფერმების ნაცვლად შეიქმნას მეფრინველეობის მსხვილი საკოლმეურნეობათაშორისო ფერმები. ბოლნისელების წინადადებას მხარი დაუჭირეს ტყიბულის, მცხეთის, ახალციხის, მარნეულის და სხვა რაიონების კოლმეურნეებმა.

ამხანაგებო!

ბუნებრივია, მე არ შემიძლია შევეხო ყველა წინადადებას, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის მშრომელებმა წამოაყენეს მომავალ შვიდწლედში საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების შესახებ. წინადადება ბევრია და მათი განხილვა უეჭველია სარგებლობას მოიტანს.

შვიდწლედის მანძილზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდების პროგრამის წარმატებით განხორციელებაში, ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის, იანვრისა და შემდგომი პლენუმების მიერ დასახული ამოცანების, პარტიის XX ყრილობის, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1958 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა გადაჭრაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების კონკრეტულ მუშაობას.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიული ორგანიზაციების, სოფლის ყველა კომუნისტის ამოცანა ის არის, რომ მთელი ყურადღება მიაპყრონ ეკონომიკის, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მეურნეობის რენტაბელური, ყაირათიანი გაძღოლის საკითხებს, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, შრომის ორგანიზაციისა და მისი ანაზღაურების სისტემის გაუმჯობესებისათვის ბრძოლის საკითხებს.

საჭიროა უმოკლეს ვადაში აღმოვფხვრათ პარტიული მუშაობის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არის ზოგიერთი ჩვენი პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში.

ახლანდელი შვიდწლედი ღრმა გარდაქმნებს შეიტანს ჩვენი სოფლის მეურნეობის განვითარებაში. და ჩვენ უნდა დავდგეთ იმ ამოცანების დონეზე, რომლებსაც ჩვენს წინაშე ამ დარგში აყენებს ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტია.

* * *

ამხანაგებო! სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესახებ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენების თეზისებში მოცემულია ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალების განვითარების, სოციალისტური ეკონომიკის ყველა დარგის აღმავლობის და ამ საფუძველზე საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების გაშლილი პროგრამა. ამ პროგრამის განხორციელება ჩვენგან მოითხოვს დიდ პრაქტიკულ მუშაობას, პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული საქმიანობის ძირეულ გაუმჯობესებას.

ახლა ყველასათვის ცხადია და ჩვენი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გენერალური გეგმა წარმოადგენს მეცნიერულად დასაბუთებულ, სავსებით რეალურ გეგმას და რომ ჩვენი ხალხი, უეჭველია, განახორციელებს მას.

ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელება ახალ პასუხსაგებ ამოცანებს უსახავს ჩვენს მეცნიერებას, ჩვენს მეცნიერებს, რომლებიც მოწოდებული არიან დაამუშაონ უმნიშვნელოვანესი მეცნიერული პრობლემები და თავიანთი გამოკვლევებით კონკრეტული დახმარება გაუწიონ წარმოებას.

დიდ მუშაობას ეწევა ჩვენი მეცნიერებათა აკადემია. ფართოდ ცნობილია ჩვენი მათემატიკოსების, ფიზიკოსებისა, ასტრონომებისა და სხვა მეცნიერების მიღწევები. ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში ხშირად ვეთათბირებით მეცნიერებს და ყოველდღიურად ვგრძნობთ მათს დახმარებას. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ მეცნიერთა მონაწილეობა უმნიშვნელოვანესი სამეურნეო საკითხების გადაჭრაში ჯერ კიდევ არ შეესაბამება არც სამეცნიერო საზოგადოებრიობის წინაშე მდგომ ახალ, გაზრდილ ამოცანებს, არც იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც ჩვენს სამეცნიერო ძალებს აქვთ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეისწავლა წარმოებასთან მეცნიერების კავშირის საკითხები. მასალები, რომლებიც ჩვენს ხელთ არის, აგრეთვე თვით პრაქტიკა, გვიჩვენებს, რომ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მუშაობის ძირითადი ნაკლი როგორც მრეწველობის, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, არის მათი სერიოზული ჩამორჩენა პრაქტიკისაგან, წარმოებისაგან, ცხოვრებისაგან.

მიუხედავად ზოგიერთი ძვირსა, ჩვენმა მეცნიერებმა ჯერ კიდევ ვერ მიაღწიეს გადამწყვეტ მობრუნებას იმ კონკრეტული ამოცანების დამუშავებაში, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის. მაგალითად, ასეთია საქმის ვითარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის მეცხოველეობისა და ვეტერინარიის ინსტიტუტში და მთელ რიგ სხვა ინსტიტუტებში.

ამხანაგებო! ჩვენი პარტია გვასწავლის სულ უფრო და უფრო განვამტკიცოთ მეცნიერების კავშირი წარმოებასთან. საჭიროა, რომ სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელები, ყოველწლიური სამეცნიერო-თემატიკური გეგმების შედგენისას, მაქსიმალურად ითვალისწინებდნენ წარმოებ ის მოთხოვნილებებს, ემყარებოდნენ იმ ამოცანებს, რომლებიც სახალხო მეურნეობის წინაშე დასახულია შვიდწლიანი გეგმით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგჯერ მეცნიერების მუშაკებს სავსებით სწორად როდი ესმით თავიანთი როლი სამეცნიერო პრობლემების გადაჭრაში: ზოგიერთი შეცდომით ფიქრობს, რომ მისი როლი განისაზღვრება მხოლოდ თვით გამოკვლევის შექმნით, ხოლო ჰპოვებს თუ არა ეს გამოკვლევა პრაქტიკულ გამოყენებას — ეს მას არ აინტერესებს. განა საჭიროა იმაზე ლაპარაკი, რომ ეს სწორი აზრი არ არის? საბჭოთა მეცნიერი არ შეიძლება გულგრილი იყოს თავისი მეცნიერული ნაშრომების შემდგომი ბედისადმი. იგი უნდა იბრძოდეს ამ ნაშრომების დანერგვისათვის წარმოებაში. ამასთან დაკავშირებით ისმება საკითხი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობის შესახებ. ისინი მოწოდებული არიან ქმედით გავლენას ახდენდნენ მთელ სამეცნიერო-კვლევითს მუშაობაზე, წარმართავდნენ მას სახალხო მეურნეობის კონკრეტული, აქტუალური ამოცანების გადაჭრისაკენ და იბრძოდნენ მიღწეული შედეგების წარმოებაში უთუოდ დანერგვისათვის.

* * *

მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების შედეგად განუწყვეტლივ იზრდება მოსახლეობის მოთხოვნილებანი სხვადასხვა სახეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებაზე. ხოლო საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე რესპუბლიკაში მკვეთრად ჩამორჩება მოსახლეობის მოთხოვნილებებს.

რესპუბლიკაში მეტად მცირეა რაოდენობა საყოფაცხოვრებო მომსახურების მექანიზებული საწარმოებისა მიმღები პუნქტების ფართო ქსელით. სჭარბობენ წვრილი, არამექანიზებული სახელოსნოები, სადაც 2-3 მუშაა, რის გამო შრომის ნაყოფიერება იქ დაბალია, შესრულებულ სამუშაოთა ღირებულება კი — მაღალი.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რესპუბლიკაში სოფლის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მხრივ. თუ 1958 წელს ქალაქებში შესრულებულია ერთ სულ მოსახლეზე 56 მანეთის სამუშაოები, სოფელში ამ სამუშაოებმა მხოლოდ 12 მანეთი შეადგინა. ამასთან ისეთი მეტად საჭირო სახეობათა სამუშაოები, როგორიც არის ტანსაცმლის ინდივიდუალური შეკერვა და შეკეთება, 3 მანეთისას არ აღემატება, ფეხსაცმლისა — 2 მანეთისას, კულტურულ - საყოფაცხოვრებო და საოჯახო საგნებისა — 65 კაპიკისას. თითქმის არ წარმოებს ავეჯის, საყოფაცხოვრებო ელექტრონაკეთობათა რემონტის, ტანსაცმლის ქიმიური წმენდისა და შეღებვის სამუშაოები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა იმით აიხსნება, რომ, ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის ფულადი დაგროვება სრულიად არასაკმაო ოდენობით ხმარდება ამ ქსელის განვითარებას. ამასთან თითქმის არ იყენებენ კოლმეურნეობათა სახსრებს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა შესაქმნელად. ახლა მეტი ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ მშრომელებისათვის, მათი საჭიროებებისა და მოთხოვნილებისათვის.

ჩვენი პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანოების ამოცანა ის არის, რომ უახლოესი წლების განმავლობაში მკვეთრად ავამაღლონ ჩვენი მუშაობის ეს უბანი და სავსებით დააკმაყოფილონ მოსახლეობის მოთხოვნილებანი.

ამხანაგო დელეგატებო! ხელმძღვანელობის მეთოდების გაუმჯობესების, მეურნეობის უნარიანი გაძღოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაა სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მუშაობის დონის ყოველი ღონისძიებით ამაღლება. საჭიროა გაძლიერდეს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების ყურადღება სახელმწიფო სტატისტიკის ორგანოების მუშაობისადმი. ჩვენ უნდა მივიღოთ ქმედითი ღონისძიებანი საანგარიშგებო დისციპლინის ყოველმხრივ განმტკიცებისათვის. თავის მხრივ საქართველოს სტატისტიკური სამმართველოსაგან, მისი ადგილობრივი ორგანოებისაგან ჩვენ უნდა ვიღებდეთ არა მარტო ნაკრებ საანგარიშგებო მონაცემებს, არამედ ანალიზურ ბარათებსაც მეურნეობისა და კულტურის ცალკეული დარგების მუშაობის შესახებ.

* * *

სკკპ XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელების შედეგად კიდევ უფრო გაიზარდა პარტიის ხელმძღვანელი როლი კომუნისტური მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლაში, ჩვენი ქვეყნის მთელ სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ, სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. განმტკიცდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთიანობა და დარაზმულობა. პარტია კიდევ უფრო შეესისხლხორცა ხალხს, განუზომლად გაფართოვდა და განმტკიცდა მისი კავშირი მასებთან, გამდიდრდა მშრომელთა ყველა ფენაში მისი პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობის გამოცდილება.

იმ ამოცანების სიღიადე, რომლებიც დასახულია შვიდწლიანი გეგმით, მოითხოვს მშრომელთა ფართო მასების კომუნისტური შეგნებულობის შემდგომ ამაღლებას, ჩვენი კადრების, ყველა საბჭოთა ადამიანის მარქსისტულ-ლენინური აღზრდის გაძლიერებას. პარტიის იდეოლოგიური მუშაობის ყველა საშუალება მიმართული უნდა იყოს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების წარმატებით გადაჭრისაკენ.

საჭიროა მთელ ჩვენს პროპაგანდისტულ, მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას ვეწეოდეთ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან უმჭიდროეს კავშირში.

შვიდწლედის დიადი ამოცანების პროპაგანდაში, იდეოლოგიური მუშაობის საკითხების გაშუქებაში, მოწინავე გამოცდილების განზოგადებასა და გავრცელებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩვენს პრესას, რადიოს, ტელევიზიას. ამ მიმართულებით ბევრი რამ უნდა გააკეთონ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებმა — კლუბებმა, კულტურის სახლებმა, ბიბლიოთეკებმა.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის წარმატებით შესრულების უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენს ჩვენი სახელმწიფოს შემდგომი განმტკიცება, მისი სამეურნეო-ორგანიზატორული და კულტურულ - აღმზრდელობითი როლის გაძლიერება. უკანასკნელ წლებში პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ განვითარებასა და სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას.

(დასასრული მე-4 გვერდზე).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის მოხსენებიდან დასასრული

მხოლოდ ჩვენმა სოციალისტურმა, ნამდვილად სახალხო დემოკრატიამ გამოავლინა მშრომელთა ტალანტები, უზრუნველყო ხალხის შემოქმედებითი ენერგიის სრული გამოვლინება. რაც უფრო მაღალია მასების აქტივობა და რაც უფრო გრანდიოზულია კომუნისტური მშენებლობის ამოცანები, მით უფრო ფართოა სოციალისტური სახელმწიფოს ორგანიზატორული საქმიანობის გაქანება, მით უფრო მაღალია მისი როლი კომუნისტურ მშენებლობაში.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის საბრძოლველად მშრომელთა ფართო მასების მობილიზაციაში დიდი როლი ეკუთვნით პროფკავშირებს, როგორც ყველაზე მრავალრიცხოვან საზოგადოებრივ ორგანიზაციას. მთელ მის საქმიანობას წარმართავს პარტია და იგი განუყოფელად დაკავშირებულია ხალხის გმირულ ბრძოლასთან კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

ჩვენი ქვეყნის განვითარების ახალ ეტაპზე კომკავშირისა და მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე დიადი ამოცანები დგას.

კომკავშირი, ჩვენი სახელოვანი ახალგაზრდობა, ისე როგორც ყოველთვის, მხურვალედ გამოეხმაურნენ მშობლიური კომუნისტური პარტიის მოწოდებას. ჩვენი ქალიშვილები და ჭაბუკები შესანიშნავ მაგალითებს გვიჩვენებენ შრომასა და სწავლაში, დიად სამუშაოთა ყველა უბანზე. მთელი ჩვენი ახალგაზრდობა თავდადებით იბრძვის კომუნიზმის მშენებლობის პროგრამის განხორციელებისათვის. ამ ბრძოლის პირველ რიგებში არიან კომუნისტური შრომის ბრიგადები.

კომუნისტური მშენებლობის ამოცანები მოითხოვს იმას, რომ გადაჭრით გავაუმჯობესოთ ახალგაზრდობის აღზრდა კომუნისტური შეგნებულობის, კოლექტივიზმისა და შრომისმოყვარეობის სულისკვეთებით, ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით.

კომუნისტური საზოგადოების მშენებლობა ხალხის მრავალმილიონიანი მასების ცოცხალი შემოქმედებითი საქმიანობაა. საბჭოთა ხალხმა ახალი შვიდწლიანი გეგმა მიიღო, როგორც თავისი საკუთარი, მშობლიური საქმე, და მისი შესრულებისათვის იშრომებს ჩვეული ენთუზიაზმით, ენერგიითა და ინიციატივით.

პირობას ვაძლევთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომ საქართველოს კომუნისტები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ დარაზმულნი, ყველაფერს გააკეთებენ პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის.

ჩვენი პარტიის ლენინური ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ჩვენი რესპუბლიკის მთელი პარტიული ორგანიზაცია, ემზადება რა მშობლიური კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის, დარაზმავს მასებს იმისათვის, რომ უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს ყველა საგეგმო დავალებანი, რომელთა მიზანია სახალხო მეურნეობის შემდგომი ძლავრი აღმავლობა და ჩვენი დიადი სამშობლოს პროგრესი, კომუნისტური საზოგადოების წარმატებითი მშენებლობა. **(მჭუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

გუშინ ყრილობაზე

(დასასრული)

ყველა ორატორი აღნიშნავს, რომ იმ ხანში, რომელმაც პარტიის ისტორიული XX ყრილობის შემდეგ განვლო, საბჭოთა ხალხმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვა სამეურნეო მშენებლობაში. დელეგატები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ რესპუბლიკის კომუნისტები და ყველა მშრომელნი აღფრთოვანებით შეხვდნენ და ერთსულოვნად იწონებენ საკონტროლო ციფრებში შვიდწლედისათვის დასახულ გაშლილი კომუნისტური მშენებლობის დიდებულ ამოცანებს.

კამათში გამოვიდნენ: ქუთაისის ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის დირექტორი ამხ. **შ. დ. კიკნაძე,** საქართველოს კპ აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. **დ. მ. მამულაძე,** ჭიათურის მარგანეცის ტრესტის სტალინის სახელობის მაღაროს ამწმენდი ამხ. **ტ. ვ. ფოფხაძე.**

თავმჯდომარე იუწყება, რომ საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის მისამართით მოვიდა მისალმება აზერბაიჯანის კპ ცენტრალური კომიტეტისაგან. დელეგატები მხურვალე ტაშით ხვდებიან მისალმებას, რომლის ტექსტს აქვეყნებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. **მ. ი. კუპავა.**

შემდეგ განახლდა კამათი. კამათში მონაწილეობა მიიღეს: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ ამხ. **ო. დ. გოცირიძემ,** საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **გ. გ. სანაკოევმა,** საგარეჯოს რაიონის სოფელ საგარეჯოს კოლმეურნეობა „საქართველოს“ თავმჯდომარემ ამხ. **გ. ა. დუჩიძემ,** ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სარდალმა არმიის გენერალმა **კ. ნ. გალიცკიმ,** თბილისის ხელსაწყოთმშენებლობისა და ავტომატიზაციის საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. **ბ. ს. ბუკიამ,** საქართველოს კპ დმანისის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. **მ. ყ. ყულიევმა,** საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. **ე. ა. შევარდნაძემ.**

საღამოს სხდომაზე ყრილობას მიესალმა საქართველოს ახალგაზრდობის დელეგაცია.

...მუსიკის ხმაზე დარბაზში შემოდიან ქალიშვილები და ჭაბუკები. მათ შორის არიან სამრეწველო საწარმოთა მოწინავეები, საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები, ახალგაზრდა მეცნიერები, მწერლები, მსახიობები, მხატვრები. დელეგატები და სტუმრები ერთსულოვანი ტაშით ხვდებიან კომუნისტური საზოგადოების ახალგაზრდა მშენებლებს. ტრიბუნაზე ზედიზედ ადიან თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **გ. ჩადუნელი,** სოციალისტური შრომის გმირი, ჩაის უხვი მოსავლის ოსტატი მახარაძის რაიონიდან **ლ. კილაძე,** ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი **ა. ლოსაბერიძე,** საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სტალინის სახელობის უნივერსიტეტის სტუდენტები **ჯ. გიორგაძე** და **ლ. შარაშიძე,** ცნობილი სპორტსმენი **ვ. ბალავაძე.** ისინი ლაპარაკობენ ახალგაზრდობის მიღწევებზე სოციალისტურ შეჯიბრებაში სკკპ XXI ყრილობის აღსანიშნავად, სწავლაში წარმატებებზე, იმისათვის მზადყოფნაზე, რომ თავდადებით იბრძოლოს ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური მშენებლობის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის.

დარბაზში ახალი ძალით გრიალებს ტაში. ყვავილებით ხელში შემოდიან ნორჩი პიონერები. ისინი მშობლიურ კომუნისტურ პარტიას ქება-დიდებას ასხამენ სასიხარულო, ბედნიერი ბავშვობისათვის.

ტრიბუნაზეა ახალგაზრდა პოეტი **მუხრან მაჭავარიანი.** იგი შთაგონებით კითხულობს სახელოვანი კომუნისტური პარტიისადმი მიძღვნილ თავის ლექსს. დარბაზში ყღერს ახალგაზრდა კომპოზიტორ **შოთა მილორავას** „ჰიმნი პარტიას“, რომელსაც ასრულებს ორკესტრი. მას ეხმაურებიან ახალგაზრდები და პიონერები.

ამით დამთავრდა მეორე სხდომა.

დღეს საქართველოს კომუნისტური პარტიის რიგგარეშე XIX ყრილობა მუშაობას განაგრძობს. (საქდესი).

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის სამანდატო კომისიის მოხსენება

ამხ. ი. გ. რთველიაშვილის მოხსენება

ამხანაგებო! საქართველოს კომუნისტური პარტიის XVIII ყრილობიდან ამ რიგგარეშე XIX ყრილობამდე განვლილი პერიოდი სულ ერთ წელიწადს მოიცავს, მაგრამ ეს წელი აღსავსე იყო განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მოვლენებით. ისევე, როგორც წინა წლებში, მთელი ჩვენი პარტიის გადაუდებელი და საბრძოლო ამოცანა გასულ წელს იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელება, ჩვენი ქვეყნის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარება, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება.

უკანასკნელ წლებში ჩვენმა ქვეყანამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებს მიაღწია სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

ამას წინათ, როგორც მოგეხსენებათ, გაიმართა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმი, რომლის მუშაობა, როგორც ეს ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა, არსებითად იყო ხალხის წინაშე პარტიის პოლიტიკური ანგარიში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის შესახებ. ამ პლენუმის ისტორიული მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა იმაში მდგომარეობს, რომ მან შეაჯამა უკანასკნელ 5 წელიწადში სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგები, მოგვცა ამ დარგში პარტიული ორგანიზაციების მუშაობის ღრმა ანალიზი, დასახა ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გაღიდების ამოცანები, განსაზღვრა ამ ამოცანების განხორციელების გზები და საშუალებები.

დეკემბრის პლენუმმა სოფლის მეურნეობის დარგში მთავარ ამოცანად დასახა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი ზრდის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებობას მოგვცემს მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილება კვების უმნიშვნელოვანეს პროდუქტებზე და მრეწველობის მოთხოვნილება ნედლეულზე.

ჩვენთვის, საქართველოს კომუნისტებისათვის, მთელი ქართველი ხალხისათვის უაღრესად სასიხარულოა ის ფაქტი, რომ 1958 წელს საქართველოს მშრომელებმა შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგში.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმს, რომელმაც მოიწონა თეზისები ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებისა პარტიის XXI ყრილობაზე „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრები“, აგრეთვე პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები „ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“. ამ დოკუმენტების საყოველთაო-სახალხო განხილვამ კვლავ დაადასტურა საბჭოთა დემოკრატიის მძლავრი შემოქმედებითი ძალა, პარტიისა და ხალხის დიადი ერთიანობა.

ამხანაგებო! სამანდატო კომისიამ დამავალა მოვახსენო ყრილობას, რომ საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატების არჩევნებმა ჩაიარა სკკპ წესდების მოთხოვნებისა და ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევნების ინსტრუქციის ზუსტი შესაბამისობით. ყველა დელეგატი როგორც გადამწყვეტი, ისე სათათბირო ხმით არჩეულია დახურული (ფარული) კენჭისყრით, და ყველამ მიიღო ხმის აბსოლუტური უმრავლესობა.

საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და ადგილობრივ პარტიულ კომიტეტებში არ შემოსულა არავითარი საჩივარი ან განცხადება არჩევნების არასწორად ჩატარების, შინაპარტიული დემოკრატიის პრინციპების დარღვევის ან კომუნისტთა უფლებების შელახვის შესახებ. წარმომადგენლობის იმ ნორმების შესაბამისად, რომლებიც დადგენილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ, პარტიულ კონფერენციებზე არჩეულ იქნა თითო დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით პარტიის 250 წევრზე და თითო დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით პარტიის წევრობის 250 კანდიდატზე.

სამანდატო კომისიამ სწორად ცნო ყველა არჩეული დელეგატის რწმუნებანი.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობაზე არჩეულია 823 დელეგატი გადამწყვეტი ხმის უფლებით და 45 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით.

ყრილობას ესწრება 806 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 43 დელეგატი სათათბირო ხმით. არ ესწრება 17 დელეგატი გადამწყვეტი ხმით. ისინი ვერ ესწრებიან საპატიო მიზეზით.

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობაზე არჩეულია 28 დელეგატით მეტი, ვიდრე არჩეული იყო წინა ყრილობაზე. დელეგატთა რიცხვის გადიდება გამოწვეულია რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ზრდით. XVIII-დან XIX ყრილობამდე განვლილ პერიოდში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში მიღებულია 6.886 კაცი, მათგან მუშები და გლეხები 73.8 პროცენტს შეადგენენ.

ამჟამად საქართველოს პარტიული ორგანიზაცია აერთიანებს 203.166 კომუნისტს, მათგან 194.415 პარტიის წევრია და 8.751 პარტიის წევრობის კანდიდატი.

საანგარიშო პერიოდში პარტიის რიგების ასეთი რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდა მოწმობს იმას, რომ განუხრელად მაღლდება ჩვენი პარტიის ავტორიტეტი მშრომელთა შორის, რომ მათ სურთ პარტიის მხარდამხარ იბრძოდნენ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

ყრილობას ესწრებიან დელეგატები 3 საოლქო, 6 საქალაქო და 54 რაიონული პარტიული ორგანიზაციისაგან.

ყრილობის დელეგატები აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთისა და ქალაქ თბილისის პარტიული ორგანიზაციებისაგან არჩეული არიან საოლქო პარტიულ კონფერენციებსა და თბილისის საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე.

ყრილობაზე ყველაზე დიდი შემადგენლობით წარმოდგენილი არიან დელეგაციები: თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაციისა — 216 კაცი, აფხაზეთის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა — 75 კაცი და აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციისა — 60 კაცი.

ყრილობაზე დიდი დელეგაციებით არიან წარმოდგენილი აგრეთვე ქუთაისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია — 34 დელეგატი, სამხრეთ ოსეთის საოლქო პარტიული ორგანიზაცია — 23 დელეგატი, მახარაძის რაიონული პარტიული ორგანიზაცია — 20 დელეგატი, ფოთის საქალაქო — 20 დელეგატი, ხუგდიდის რაიონული — 18 დელეგატი, ჭიათურის საქალაქო — 16 დელეგატი, სამტრედიის რაიონული — 14 დელეგატი და ა. შ.

პარტიის რიგების ზრდასთან ერთად გადიდდა პირველადი ორგანიზაციების რიცხვი, რომლებიც იქმნებოდა უმთავრესად მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადამწყვეტ უბნებზე. XVIII ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში პირველადი ორგანიზაციების რიცხვი 66-ით გადიდდა და ამჟამად სულ რესპუბლიკაში ითვლება 10.057 პირველადი პარტიული ორგანიზაცია.

ამხანაგებო! ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის ძალისა და მონოლითურობის, პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში მისი ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის მკაფიო მაჩვენებელია ამ ყრილობის შემადგენლობა. საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის დელეგატებად არჩეული არიან რესპუბლიკის მრავალფეროვანი სოციალისტური მეურნეობის თითქმის ყველა დარგის მუშაკები — ჩვენი სახელოვანი მუშათა კლასისა და კოლმეურნეგლეხობის წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწეები, ჩვენი უძლეველი საბჭოთა არმიის წარმომადგენლები.

ყრილობის დელეგატებად გაცილებით მეტი რაოდენობით, ვიდრე წინა ყრილობებზე, არჩეული არიან ადამიანები, რომლებიც უშუალოდ ქმნიან მატერიალურ ფასეულობებს. ყრილობაზე გადამწყვეტი ხმის უფლებით არჩეული არიან მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშები, ტრაქტორისტები და კომბაინერები — 110 კაცი, კოლმეურნეები — 141 კაცი.

დელეგატებს შორის 155 პარტიული, 195 საბჭოთა, 12 კომკავშირული, 17 პიოფკავშირული მუშაკია, 48 — საწარმოსა და მშენებლობის ხელმძღვანელი, 6 — საბჭოთა მეურნეობების დირექტორი, 66 — მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკი, 4 — სახალხო განათლების მუშაკი, 5 ძველი ბოლშევიკი, საბჭოთა არმიისა და სამხედრო - საზღვაო ფლოტის პარტიული ორგანიზაციების 52 წარმომადგენელი.

ყრილობის დელეგატთა საერთო რიცხვიდან 36 დელეგატი სოციალისტური შრომის გმირია, 9 დელეგატი — საბჭოთა კავშირის გმირი, 13 დელეგატი — ლენინური და სტალინური პრემიების ლაურეატი, 680 დელეგატი დაჯილდოებულია სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით, მათგან 377 დელეგატს მთავრობის სამი და მეტი ჯილდო აქვს.

დელეგატებს შორის 28 სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, 169 — საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, 32 — ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების დეპუტატი, 349 — ადგილობრივი საბჭოების დეპუტატი.

ყრილობის 467 დელეგატს უმაღლესი განათლება აქვს, 68-ს დაუმთავრებელი უმაღლესი და 126 — საშუალო განათლება.

უმაღლესი განათლების მქონე დელეგატებიდან 147 ინჟინერია, 73 სოფლის მეურნეობის სპეციალისტი, 17 იურისტი, 27 ეკონომისტი, 13 ექიმი, 190 კაცს დამთავრებული აქვს პედაგოგიური და სხვა უმაღლესი სასწავლებელი. დელეგატებს შორის 46 მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია. ეს მონაცემები თვალნათლივ გვიჩვენებენ საქართველოს პარტიული ორგანიზაციის წევრთა პოლიტიკური და კულტურული დონის განუხრელ ზრდას.

დელეგატთა შემადგენლობა პარტიული სტაჟის მიხედვით შემდეგი მაჩვენებლებით ხასიათდება. 5 დელეგატია რევოლუციამდელი პარტიული სტაჟით, 8 დელეგატი პარტიაში შესულია 1918-დან 1920 წლამდე, 61 დელეგატი — 1921-დან 1930 წლამდე, 292 დელეგატი — 1931-დან 1940 წლამდე, 234 დელეგატი საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიაში შესულია სამამულო ომის წლებში — 1941-1945 წლებში, 223 დელეგატი პარტიის წევრია 1946 და შემდგომი წლებიდან.

გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატთა რიცხვში 261 დელეგატი 40 წლის ასაკამდეა, 409 დელეგატი — 41-დან 50 წლამდე, ხოლო 153 დელეგატი 51 წელზე უხნესია.

ის ფაქტი, რომ ჩვენს ყრილობას ესწრება 160 დელეგატი ქალი, რომლებიც სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის თითქმის ყველა დარგს წარმოადგენენ, ერთხელ კიდევ მოწმობს საბჭოთა ქალების უდიდეს შემოქმედებითს შრომას კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე.

ამხანაგებო! ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია ყოველთვის იჩენდა დიდ ზრუნვას ქართველი ხალხისა და რუსი ხალხის მეგობრობის განმტკიცებისათვის, ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან ქართველი ხალხის მტკიცე მეგობრული კავშირისათვის. ეროვნული საკითხის სწორად გადაჭრას, ლენინური ეროვნული პოლიტიკის განუხრელად განხორციელებას მოწმობს ის ფაქტი, რომ საქართველოს კომპარტიის ამ ყრილობას ესწრებიან ჩვენს რესპუბლიკაში მცხოვრები თითქმის ყველა ეროვნების წარმომადგენლები.

დელეგატთა შემადგენლობაშია 657 ქართველი, 59 რუსი, 30 სომეხი, 26 აფხაზი, 17 ოსი, 23 უკრაინელი, 6 აზერბაიჯანელი და სხვ.

ნება მიბოძეთ მოკლედ შევეხო სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატთა შემადგენლობას. სათათბირო ხმის მქონე 45 დელეგატიდან 1 პარტიული მუშაკია, 11 მუშაობს საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებში, 16 — კოლმეურნეობებში, 7 პროფკავშირული, კომკავშირული და სხვა ორგანოების მუშაკია.

სათათბირო ხმის მქონე დელეგატთაგან 18-ს აქვს უმაღლესი და დაუმთავრებელი უმაღლესი განათლება, 8-ს — საშუალო განათლება.

პარტიული სტაჟის მიხედვით სათათბირო ხმის უფლების მქონე დელეგატები ნაწილდებიან შემდეგნაირად: 1940 წლამდე პარტიაში შესულია 8 დელეგატი, 1941-იდან 1945 წლამდე — 16 დელეგატი, 1946 წლიდან და უფრო გვიან — 21 დელეგატი.

ამხანაგებო!

საქართველოს კომპარტიის XIX ყრილობის შემადგენლობა და მონაცემები დელეგატების შესახებ ერთხელ კიდევ ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ საქართველოს პარტიული ორგანიზაცია თავის ყრილობას შეხვდა ერთიანი, მონოლითური, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, რომ ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაცია მზად არის ღირსეულად შეასრულოს მშობლიური კომუნისტური პარტიის ყველა დავალება.

განუხრელად ასრულებს რა ჩვენი პარტიის XX ყრილობის და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საქართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი წარმატებები მოიპოვა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის აღმავლობისა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. დიდი მუშაობაა გაწეული რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების პოლიტიკური და ორგანიზაციული განმტკიცებისათვის, კიდევ უფრო გაძლიერდა პარტიული ორგანიზაციებისა და კომუნისტების პოლიტიკური აქტივობა და ბრძოლისუნარიანობა. ყოველივე ამას მკაფიოდ ადასტურებს ამას წინათ მოწყობილი პირველად პარტიულ ორგანიზაციათა საანგარიშო-საარჩევნო კრებები, რაიონული, საქალაქო და საოლქო კონფერენციები. საანგარიშო-საარჩევნო კრებებმა და პარტიულმა კონფერენციებმა ჩაიარა მაღალ პოლიტიკურ დონეზე, პარტიული, საბჭოთა და საეკონომიო ორგანიზაციების მუშაობის ნაკლოვანებათა პრინციპული კრიტიკის ნიშნით.

როგორც საანგარიშო მოხსენებებში, ისე ამხანაგების გამოსვლებში მოცემული იყო კრიტიკა სერიოზული ნაკლოვანებებისა, რომლებიც ჯერ კიდევ არის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობაში. ამასთან დაკავშირებით ბევრი ორატორი გამოთქვამდა საქმიან კრიტიკულ შენიშვნებს და შემოჰქონდა წინადადებანი, რომელთა შემდგომი შესწავლა და განზოგადება ხელს შეუწყობს მუშაობის გაუმჯობესებას.

ბოგდანოვკის, ახმეტის, გუდაუთის, ახალქალაქის, ქარელის, ვანის, ყაზბეგის, ლენინგორის, ხობის რაიონულ, ფოთის, სოხუმის, ჭიათურის საქალაქო პარტიულ კონფერენციებზე კამათში გამოსული დელეგატები სამართლიანად აკრიტიკებდნენ საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის, მშენებლობის, წყალთა მეურნეობის, შინაგან საქმეთა, ავტოტრანსპორტის, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობისა და სხვა სამინისტროების, აგრეთვე სახალხო მეურნეობის საბჭოს ზიგიერთი სამმართველოს მუშაობის ნაკლოვანებებს. ბევრი სამინისტრო და უწყება სრული დატვირთვით არ მუშაობს და ქმედითს ღონისძიებებს არ იღებს მისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების მუშაობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესებისათვის.

ამხანაგებო! ჩვენი გამარჯვებების ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია მჭიდრო კავშირი მასებთან, კონტაქტი მუშებთან, კოლმეურნეებთან — იმათთან, ვინც უშუალოდ ქმნის მატერიალურ დოვლათს. ამ მხრივ რესპუბლიკის პარტიულმა ორგანიზაციამ ბევრი რამ გააკეთა, მაგრამ ამ საქმეში ჯერ კიდევ არის არსებითი ნაკლოვანებანი.

როგორც 1957, ისე 1958 წელს ჩატარებულ პარტიულ კონფერენციებზე სხვა ნაკლოვანებებთან ერთად აღნიშნავდნენ არასაკმაო კავშირს მასებთან, დელეგატები ხაზს უსვამდნენ იმ გარემოებას, რომ მთელი რიგი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები არ დადიან ადგილებზე, არ იცნობენ საქმის ვითარებას რაიონებში. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს კრიტიკა სამართლიანია. ილუსტრაციისათვის შეიძლება დავასახელოთ ვანის რაიონი, რომელშიც უკანასკნელი 7 წლის მანძილზე არ ყოფილან რესპუბლიკის ბევრი მინისტრი, საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივნები. შეიძლებოდა მოგვეყვანა სხვა ანალოგიური მაგალითები. ვფიქრობ, რომ ამხანაგები, რომლებსაც ეს კრიტიკა შეეხება, გაითვალისწინებენ მას და საჭირო დასკვნებს გააკეთებენ.

ამხანაგებო! მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ქართველი ხალხი აღფრთოვანებით ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXI ყრილობისათვის, რომელიც განიხილავს და დაამტკიცებს კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის დიად პროგრამას. ჩვენი რესპუბლიკის კომუნისტები საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულნი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ განახორციელონ ჩვენი დიადი კომუნისტური პარტიის ყველა გადაწყვეტილება.

გაუმარჯოს ჩვენს დიდ სამშობლოს!

გაუმარჯოს ჩვენს მშობლიურ მძლავრ კომუნისტურ პარტიას! **(ტაში).**

სურათზე: საქართველოს კომპარტიის რიგგარეშე XIX ყრილობის დელეგატთა ერთი ჯგუფი.

ფოტო გ. ვახტანგაძისა და მ. კვირიკაშვილისა.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი

უე 01311 საქართველოს კპ ც. კ-ის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14 2